JEL Classification: G01, H12, I15. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.015

THE GENERAL OVERVIEW OF CORONOMIC PROCESSES AND MAIN DIRECTIONS OF PROBLEM SOLVING

GIORGI SANADZE

PhD Student

Ivane Javakhishvili Tbilisi State University, Georgia

gsanadze@geostat.ge

Abstract. The COVID-19 new coronavirus-related pandemic processes have had a significant impact on the world's economy. Due to the fact that the assessment of coronavirus results requires an important analytical approach, a completely new term has been proposed by science - coronomics, the subject of which is the negative impact of coronavirus on various sectors of the economy. The term coronomics was introduced by Sri Lankan professor Ajith De Alwis. The COVID-19 related pandemic process directly increases coronomic urgency gradually. It could be highlighted, that similar types of global risks will always exist. Understanding this is very important for the society in their daily life and in planning the economic projects that should be implemented in the future.

In nowadays, humankind is facing a completely new global economic crisis, the causes of which are provoked by factors outside the economy (coronavirus). A clear example of this is the difficulties that have affected the economies of both China and a number of leading European countries. A number of companies have closed in China, the world's second-largest economy. A similar situation has arisen in the EU. Due to the arising circumstances, the mechanisms and tools that were actively used during the global financial and economic crisis of 2008-2009 are mainly considered in the fight against the coronary crisis. It should be noted that the current crisis is extremely different from the events that happened in 2008-2009 when the origin of the crisis was purely economic and not medical-biological. The spread up of pandemic processes directly influenced new technological challenges, especially in terms of the development of various types of applications and software packages. Therefore, digital-based industries play a more and more important role in society. Noteworthy that the needs of society, along with technological development, are undergoing a fundamental change, and therefore, to meet them, it is necessary to develop completely different, innovative technologies based on high technology. The creation of social networks has had a significant impact on technological development. A social network is a means by which new, completely different industries are formed. In addition to the above, lately, more and more people are talking about blockchain technologies and their perspectives, through which it is possible to develop various industries through online technologies, which becomes especially relevant in late 2019 and early 2020 when the COVID-19 new coronavirus pandemic spread worldwide.

KEYWORDS: CORONOMICS, CORONOMIC CRISIS, PANDEMIC, PANDEMIC CRISIS, GLOBAL ECONOMIC CRISIS.

For citation: Sanadze, G. (2021). The General Overview of Coronomic Processes and Main Directions of problem solving. *Globalization and Business.* 12, 110-113. (In Georgian). https://doi.org/10.35945/gb.2021.12.015

JEL Classification: G01, H12, I15. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.015

კორონომიკური პროცესების ზოგადი მიმოხილვა და პრობლემის გადაჭრის ძირითადი მიმართულებები

გიორგი სანაძე
დოქტორანტი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
gsanadze@geostat.ge

საკვანძო სიტყვები: კორონომიკა, კორონომიკური კრიზისი, პანდემია, პანდემიური კრიზისი, გლობალური ეკონომიკური კრიზისი.

ციტირებისთვის: სანაძე, გ. (2021). კორონომიკური პროცესების ზოგადი მიმოხილვა და პრობლემის გადაჭრის ძირითადი მიმართულებები. *გლობალიზაცია და ბიზნესი.* 12, 110-113. https://doi.org/10.35945/gb.2021.12.015

შესავალი

სხვადასხვა სახელმწიფო კავშირისა და იმპერიის ფორმირებას ყოველთვის თან ახლდა სხვადასხვა პანდემია. რომის იმპერია, რომელიც აერთიანებდა დიდი ტერიტორიებს, რაც დაახლოებით იმ პერიოდის თითქმის მთელ მსოფლიოს მოიცავდა, გავრცელდა ე.წ. ანტონინის ჭირი, რომელიც, სავარაუდოდ, რომაელმა ლეგიონერებმა ახლო აღმოსავლეთიდან ჩამოიტანეს. თანამედროვე მეცნიერების მოსაზრებით, ანტონინის ჭირი შეიძლება წითურა ან ჩუტყვავილაც ყოფილიყო, თუმცა ამის დადასტურება დღეს შეუძლებელია. თავის მხრივ, ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებული იყო ე.წ. იუსტინიანეს ჭირი. მონღოლმა დამპყრობლებმა კი ევროპაში ჩამოიტანეს შავი ჭირი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით ნათელია, რომ COVID-19 ახალი კორონავირუსი უკვე იკავებს ისტორიაში თავის ადგილს, მსგავსად XX საუკუნის დასაწყისის „ესპანური გრიპისა". ყოველი ასეთი ფართო მასშტაბის დაავადება მნიშვნელოვან ნეგატიურ გავლენას ახდენს ამა თუ იმ ეპოქის ეკონომიკაზე.

კორონომიკური პროცესები

2019 წლის ბოლოს გავრცელებულმა COVID-19 ახალ კორონავირუსთან დაკავშრებულმა პანდემიურმა პროცესებმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკაზე. გამომდინარე იქიდან, რომ კორონავირუსის შედეგების შეფასება მნიშვნელოვან ანალიტიკურ მიდგომას საჭიროებს, მეცნიერების მიერ შემოთავაზებულ იქნა სრულიად ახალი ტერმინი – კორონომიკსი, რომლის შესწავლის საგანს წარმოადგენს სწორედ პანდემიური პროცესების უარყოფით გავლენის შესწავლა ეკონომიკის სხვადასხვა სექტორზე. აღნიშნული ტერმინის ავტორად მიჩნევა შრილანკელი პროფესორი – აჯით დე ალვისი (Ajith De Alwis) (Papava, 2020a; Papava, 2020b).

აჯით დე ალვისის თვალთახედვის შესაბამისად, COVID-19 ახლმა კორონავირუსმა, გავრცელებული გლობალური პანდემიის ფარგლებში განვითარებული მოვლენების კვალობაზე, ეკონომიკის მნიშვნელოვანი შემცირება გამოიწვია და აქედან გამომდინარე, ხელი შეუწყო ეკონომიკაში ახალი მიდგომებისა და მოდელების დანერგვა-განვითარებას (Alwis, 2020).

COVID-19 ახალი კორონავირუსის შედეგად წარმოქმნილი პანდემიური პროცესებიდან გამომდინარე, თანდათან იზრდება კორონომიკის აქტუალურობა. ამასთან საგულისხმოა, რომ მსგავსი ტიპის გლობალური საფრთხეების რისკი ყოველთვის იარსებებს. აღნიშნულის გაცნობიერება ძალიან მნიშვნელოვანია საზოგადოებისთვის როგორც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, აგრეთვე იმ ეკონომიკური პროექტების დაგეგმარებისას, რომელთა რეალიზაცია უნდა განხორციელდეს მომავალში (Papava, 2020a; Papava & Charaia, 2020, 4-5; Papava, 2020b).

დღეს კაცობრიობა დგას სრულიად ახალი გლობალური ეკონომიკური კრიზისის წინაშე, რომლის გამომწვევი მიზეზები პროვოცირებულია ეკონომიკის გარეთ არსებული ფაქტორების (კორონავირუსი) მეშვეობით. ამის ნათელი მაგალითია ის სირთულეები, რომლებიც აისახა როგორც ჩინეთის, ასევე რიგი წამყვანი ევროპული ქვეყნების ეკონომიკაზე. ჩინეთში, რომელიც მსოფლიოში მეორე სიდიდის ეკონომიკის მქონე ქვეყანაა, დაიხურა არაერთი კომპანია. ანალოგიური მდგომარეობა შეიქმნა ევროკავშირში. კაცობრიობა ცალსახად დადგა მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის წინაშე. კორონომიკური კრიზისის წინააღმდეგ საბრძოლველად ძირითადად განიხილება ის მექანიზმები და საშუალებები, რომლებსაც

აქტიურად იყენებდნენ 2008–2009 წლების გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის დროს. მიუხედავად ამისა, აქვე უნდა აღნიშნოს, რომ მიმდინარე კრიზისი ფუნდამენტურად განსხვავდება 2008–2009 წლებში განვითარებული მოვლენებისგან, რამე თუ მაშინ კრიზისის წყარო წმინდად ეკონომიკური შინაარსის მატარებელი იყო, ხოლო 2020 წლის კრიზისის წყარო სამედიცინო–ბიოლოგიური შინაარსის მატარებელია. შესაბამისად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ კორონომიკური კრიზისის დამარცხება ბევრად დამოკიდებულია მედიცინის წარმატებულობაზე (Papava, 2020a; Papava & Charaia, 2020, 4–5; Papava, 2020b).

კორონომიკური კრიზისის ფარგლებში, გლობალური საფრთხეების მინიმიზაციის მიზნით, ასევე შეინიშნება ჩინეთში თავმოყრილი მსხვილი კომპანიების დეკონცენტრაციის აქტიური ტენდენცია (Papava, 2020a; Papava, Charaia, 2020, 6–7).

საგულისხმოა, რომ დაავადების გავრცელების შიშით, საგრძნობლად შემცირდა ან საერთოდ შეწყდა ეკონომიკის ერთ–ერთი მთავარი ხერხემალი – საგარეო ვაჭრობა, შეწყვეტილია უცხოური პირდაპირი ინვესტიციები. იმის ფონზე, რომ COVID 19–ის ფართო გავრცელების ერთ–ერთ არეალს დასავლეთ ევროპა და აშშ წარმოადგენდა, შეიძლება ჩაითვალოს, რომ ამ ქვეყნებმა მცირე ხნით, მაგრამ მაინც დაკარგეს მოწინავე როლი მსოფლიო ეკონომიკური თეატრის ავანსცენაზე, რამე თუ მათი ეკონომიკის ყველა მთავარი სექტორი პარალიზებული გახდა. გარდა ამისა, პარალიზებულ იქნა მასობრივი დასვენების სისტემა და დიდი სპორტული ღონისძიებები, რომლებიც მსოფლიო ეკონომიკური ინდუსტრიის ერთ–ერთ უმთავრეს აგრეგატს წარმოადგენენ (Grigoryev, 2020, 18–25).

პანდემიური სახის კრიზისები საბოლოოდ განაპირობებს როგორც სრულიად ახალი ტექნოლოგიების, ახალი ბიზნეს მოდელების შექმნას, ასევე არსებული ტექნიკური საშუალებების ფართოდ გავრცელებას. იმავე ჩინეთში, COVID 19–ის გავრცელების ფონზე, მნიშვნელოვნად განვითარდა მიწოდების სერვისი, ონლაინ მაღაზიები, ხოლო ფულმა, როგორც ფიზიკურმა მოცემულობამ, ადგილი დაუთმო ე.წ. უკონტაქტო გადახდებს. აქედან გამომდინარე, მსგავსი ტიპის კრიზისები განაპირობებს განსხვავებული, ხშირ შემთხვევაში – ინოვაციური მართვის სისტემების შექმნას და რეალიზაციას. უნდა აღნიშნოს, რომ ჩვეულებრივ გარემოებებში მსგავს ფუნდამენტურ ცვლილებებს შეიძლება წლები დასჭირვებოდა (Buklemishev, 2020, 13).

კორონომიკის ფარგლებში არსებობს საკმაოდ რეალური თეორიული დაშვება იმის თაობაზე, რომლის მიხედვითაც მსხვილმა კომპანიებმა შესაძლოა გადაიტანონ ჩინეთიდან თავიანთი ქარხნები ისეთ ქვეყნებში, სადაც უკვე არსებობს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება როგორც საკუთრივ ჩინეთთან, ასევე ევროკავშირთან (Papava, 2020b).

იმის გათვალისწინებით, რომ პანდემია გლობალური ფენომენია და კორონომიკური კრიზისი მთელი მსოფლიოს საფრთხეა, იზოლაციონიზმი და დეგლობალიზაცია მსოფლიო ეკონომიკისთვის აშკარად დამღუპველი გზაა. პირიქით, პოსტ–კრიზისულ პერიოდში, აუცილებელია მოხდეს ღირებულებათა ჯაჭვების დივერსიფიკაცია, რამაც უნდა უზრუნველყოს შესაძლო რისკების შემცირება (Derviş & Strauss, 2020).

სოციალური ქსელების შექმნამ მნიშვნელოვანი გავლენა იქონია ტექნოლოგიურ განვითარებაზე. სოციალური ქსელი არის საშუალება, სადაც ყალიბდება ახალი, სრულიად განსხვავებული ინდუსტრიები. გარდა აღნიშნულისა, ბოლო პერიოდში სულ უფრო მეტს საუბრობენ ე.წ. ბლოკჩეინ ტექნოლოგიებზე და მის პერსპექტივებზე, რომელის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება სხვადასხვა ინდუსტრიის განვითარება ონლაინ ტექნოლოგიების საშუალებით, რაც განსაკუთრებით აქტუალური ხდება 2019 წლის ბოლოს და 2020 წლის დასაწყისში, როდესაც მსოფლიოში გავრცელდა COVID–19 ახალი კორონავირუსის პანდემია. სწორედ, აქედან გამომდინარე, ონლაინ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინდუსტრების განვითარება სულ უფრო აქტუალური ხდება (Bobilev & Grigoriev, 2020, 4–24). ამ თვალსაზრისით, მეტად საინტერესოდ ვითარდება ე.წ. ონლაინ აპლიკაციებსა და პლატფორმებზე დაფუძნებული საკომუნიკაციო საშუალებები (Zoom, MS. Teams, Facebook Room და ა.შ.), რომლის გამოყენებით შესაძლებელი ხდება ლექციების, კონფერენციების, ტრენინგების, შეხვედრების და კომუნიკაციის სხვა ფორმების ორგანიზება და განხორციელება. ეს კი თავის მხრივ, დროითი და მატერიალური რესურსის დაზოგვის უნიკალურ შესაძლებლობას გვთავაზობს.

კორონავირუსის გავრცელებამ გარკვეული გავლენა მოახდინა იმ თეორიულ მიდგომებზე, რომლებიც ცალსახად ეწინააღმდეგებიან თავისუფალ ვაჭრობას, თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ის ქვეყნები, რომლებიც ეწინააღმდეგებიან გლობალიზაციას, ნახულობენ უფრო დიდი მასშტაბის ეკონომიკურ ზარალს სწორედ პანდემიის პირობებში (Frankel, 2020).

თანამედროვე პირობებში მდგრადი ეკონომიკური განვითარების მისაღწევად უმთავრეს საფუძელს წარმოადგენს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკა. აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, საჭიროა შესაბამისი ეკონომიკური პოლიტიკის განხორციელება, რათა მოხდეს ქვეყანაში სწორედ ამ ტიპის ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა. სწორედ ცოდნაზე დაფუძნებულმა ეკონომიკამ უნდა უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი ინოვაციური პროდუქციისა ან/და მომსახურების შექმნა.

ქვეყნის ეკონომიკის განვითარება დიდად არის დამოკიდებული იმ ტექნოლოგიურ საშუალებებზე, რომლებიც გამოიყენება პროდუქციის ან მომსახურების შესაქმნელად. ამრიგად, რაც უფრო თანამედროვეა ტექნოლოგიური საშუალება, მით უფრო დადებით ეფექტს ახდენს ის ეკონომიკურ წინსვლაზე. ამასთან, საგულისხმოა ის ფაქტიც, რომ ტექნოლოგიურ განვითარებას შეუძლია გამოიწვიოს საზოგადოებაში გავრ–

ცელებული ნორმების, ღირებულებებისა და ტრადიციების ფუნდამენტური ცვლილებები. გარდა ამისა, საგულისხმოა, რომ საზოგადოებაში არსებული მოთხოვნილებები, ტექნოლოგიურ განვითარებასთან ერთად, განიცდიან ძირეულ სახეცვლილებას და შესაბამისად, მათი დაკმაყოფილებისთვის საჭირო ხდება სრულიად განსხვავებული, მაღალ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ინოვაციური საშუალებების შემუშავება.

დასკვნა – პრობლემის გადაჭრის სავარაუდო მიმართულებები

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, რა შეიძლება ჩაითვალოს კორონომიკის დაძლევის ძირითად საშუალებად? გამომდინარე იქიდან, მისი წარმოშობა დაკაშირებულია არაეკონომიკურ მოვლენებთან, მისი დაძლევის გზები მოსაძებნია სამეციცინო სფეროში (Papava, 2020b). ჩემი აზრით, COVID-19 ახალი კორონავირუსის ვაქცინის შექმნა ნამდვილად წინგადადგმული ნაბიჯია კორონომიკის შედეგების მინიმიზაციის თვალსაზრისით, მაგრამ მაინც არ არის საკმარისი. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ მსოფლიო საზოგადოებაში ჯერ კიდევ ძლიერია ე.წ. ანტივაქსერული მოძრაობები. აღსანიშნავია, რომ საკუთრივ ვაცინაზე წვდომა არათანაბრად არის წარმოდგენილი სხვადასხვა ეკონომიკური განვითარების მქონე ქვეყნებში (El-Erian, 2021). ასევე, კვლავ ბუნდოვარნია, თუ როგორ უნდა განხორეციელდეს ყველა ქვეყნის მოსახლეობის ვაქცინაცია (Malpass, 2021) გარდა ამისა, ვაქცინა თავისი შინაარსით არ წარმოადგენს სამკურნალო საშუალებას. ვაქცინირებული ადამიანი ვირუსის ისეთივე გადამტანია, როგორც არავაქცინირებული. ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ კორონომიკის მინიმიზაცია მჭიდრო კორელაციურ დამოკიდებულებაშია კორონავირუსის სამკურნალო პრეპარატის წარმატებით შექმნასთან.

გამოყენებული ლიტერატურა/REFERENCES:

Alwis, A. D. (2020). Coronomics – Plan your eggs and the basket!. Daily FT - Business Paper, February 6. <http://www.ft.lk/columns/Coronomics-%E2%80%93-Plan-your-eggs-and-the-basket-/4-695109>.

Bobilev, S., & Grigoriev, L. (2020). In Search of the Contours of the Post-COVID Sustainable Development Goals: The case of BRICS. BRICS Journal of Economics, 1(2), 4-24, <https://www.brics-econ.org/archive/2020.Vol.1.No.2/>.

Buklemishev, O. (2020). Coronavirus Crisis and Its Effects on the Economy. Population and Economics, 2, 13-17. <https://populationandeconomics.pensoft.net/article/53295/>.

Derviş K., & Strauss S. (2020). What COVID-19 Means for International Cooperation. Project Syndicate – The World's Opinion Page, March 6. <https://www.project-syndicate.org/commentary/global-cooperation-can-prevent-next-pandemic-by-kemal-dervis-and-sebasti-n-strauss-2020-03?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=cba7e1c6a1-sunday_newsletter_15_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-cba7e1c6a1-93567601&mc_cid=cba7e1c6a1&mc_eid=e9fb6cbcc0>.

El-Erian, M. (2021). Vaccines and the West's Credibility Crisis. Project Syndicate – The World's Opinion Page, May 27. <https://www.project-syndicate.org/commentary/global-vaccination-failures-threaten-western-led-international-system-by-mohamed-a-el-erian-2021-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=88d95de03c-sunday_newsletter_05_30_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-88d95de03c-93567601&mc_cid=88d95de03c&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Frankel, J. (2020). Will the Coronavirus Trigger a Global Recession? Project Syndicate – The World's Opinion Page, February 24, <https://www.project-syndicate.org/commentary/coronavirus-global-recession-prospects-by-jeffrey-frankel-2020-02?utm_source=Project+Syndicate+Newsletter&utm_campaign=11fa1362d7-sunday_newsletter_01_03_2020&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-11fa1362d7-93567601&mc_cid=11fa1362d7&mc_eid=e9fb6cbcc0>.

Grigoryev, L. (2020). Global Social Drama of Pandemic and Recession. Population and Economics, 2, 18-25, <https://populationandeconomics.pensoft.net/article/53325/>.

Malpass, D. (2021). How to Vaccinate Every Country. Project Syndicate – The World's Opinion Page, May 19. <https://www.project-syndicate.org/commentary/global-covid19-vaccination-three-key-factors-by-david-malpass-2021-05?utm_source=Project%20Syndicate%20Newsletter&utm_campaign=2a8a9309bc-sunday_newsletter_05_23_2021&utm_medium=email&utm_term=0_73bad5b7d8-2a8a9309bc-93567601&mc_cid=2a8a9309bc&mc_eid=e9fb6cbcc0&barrier=accesspaylog>.

Papava, V. (2020a). Coronomic Crisis: When The Economy Is A Hostage To Medicine. Eurasia Review, March 29. <https://www.eurasiareview.com/29032020-coronomic-crisis-when-the-economy-is-a-hostage-to-medicine-oped/>.

Papava, V. (2020b). Coronomic and Economic in Face of Crisis. For.ge – News and analytical portal, March, 21. <https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html> (in Georgian).

Papava V., & Charaia, V. (2020). The Coronomic Crisis and Some Challenges for the Georgian Economy. Expert Opinion, 136. Tbilisi, GFSIS, <https://www.gfsis.org/files/library/opinion-papers/136-expert-opinion-geo.pdf> (In Georgian).